ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4187266

ნომერი: AR1628757

თარიღი : 05.09.2018

გაცემის თარიღი : 26.09.2018

გაცნობის თარიღი : 29.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა მოდრეკილაძე პ/ნ 01023007690
- თბილისი ნ.ბუაჩიძის ქ. N 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035 (19/02/2016) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს AR1628757 (05/09/2018) განცხადებით მომართა კობა მოდრეკილაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035 (19/02/2016) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების (ფართობი და კონფიგურაცია) ცვლილებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლასაქმისათვის არსებითიმნიშვნელობის მქონეგარემოებები დადაადგინა, რომქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035

(19/02/2016) ბრძანებით ქალაქთბილისში, ქ. თბილისში სოფელი დიღომი, დიდ დიღომშისასტუმროს შენობის განსათავსებლად დამტკიცდამიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობები.
შემდეგ აღნიშნულ ბრძანებაში შევიდა ცვლილება №3450473 (14/08/2017) ბრძანებით, კერძოდ „შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის № 2418035 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.“
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა N01.72.14.040.615 საკადასტრო ერთეულის საზღვრების კონფიგურაციის ცვლილება. რის შედეგადაც შეიცვალა საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის ფართობი. წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035 (19/02/2016) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და განახლებული საკადასტრო გეგმის და მისი მონაცემების დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწისნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდააისახოს კანონმდებლობით, მათ შორისამ დადგენილებით განსაზღვრული ისსავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035 (19/02/2016) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისშეტანა.
"მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების დასაქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის63-ე მუხლისშესაბამისად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035 (19/02/2016) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა: საკადასტრო კოდი N01.72.14.040.703 ფართობი 457 კვ.მ. რეგისტრაციის ნომერი N892018700963 რეგისტრაციის თარიღი 09.08.2018წ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2418035 (19/02/2016) ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და №3450473 (14/08/2017) ბრძანებით გაცემულ ცვლილებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.